პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

სამშაბათი, 28 იანვარი, 1958 წელი
№ 12 (1182)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-14 წელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა

27 იანვარს, დღის 12 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა.

სხდომების დარბაზში შეიკრიბა ასობით დელეგატი, რომლებიც ჩამოვიდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. აქ არიან პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობა შეიკრიბა ვითარებაში, როცა მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობით წარმატებით ახორციელებს სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელები, რომლებმაც ზეიმით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი, მეექვსე ხუთწლედის მესამე წელს, კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, გამოთქვამენ მზადყოფნას განახორციელონ პარტიის მიზანდასახულობანი.

საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობა გამოხატავს მისი რიგების მჭიდრო და ურღვევ დარაზმულობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის ურყევ მისწრაფებას თავდადებით იბრძოლონ იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებსაც საბჭოთა ხალხის წინაშე სახავს მშობლიური კომუნისტური პარტია, თავისი წვლილი შეიტანონ საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავების, კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ყრილობას გახსნილად აცხადებს.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — საქმიან პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, სარედაქციო კომისიასა და სამდივნოს.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმავლობით, დელეგატების მქუხარე ტაშის გრიალში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობას.

ერთხმად ამტკიცებენ ყრილობის დღის წესრიგს:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება

2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება;

3. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის;

ბ) საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის.

სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სომხეთის კომპარტიის XIX ყრილობას.

შემდეგ მოისმინეს სარევიზო კომისიის საანგარიშო მოხსენება. მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ვ. გელაშვილმა.

მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. გ. რთველიაშვილის მოხსენება.

სხდომაზე წაკითხულ იქნა სომხეთის კომპარტიის XIX ყრილობის მისალმება.

ამით დამთავრდა პირველი სხდომა.

### საერთაშორისო ალპინისტური თანამშრომლობისათვის

თუმცა ახლა ზამთარია, მაგრამ ავსტრიის მთებში ალპინისტური სეზონის მაჯისცემა არ შემწყდარა —სპორტის ამ სახეობის ბევრი ენთუზიასტი კვლავ განაგრძობს სხვადასხვა მასშტაბის ლაშქრობებს.

ერთ-ერთი ასეთი ლაშქრობა მოეწყო გასული წლის მიწურულს, დეკემბერში, შნეენბერგის მწვერვალზე. მწვერვალი არც თუ ისე მაღალია, მაგრამ მისკენ მიმავალი ტრასა საკმაოდ რთული იყო, რასაც ემატებოდა თბილი ქარი, რომელმაც ყინულის ზედაპირი მოალხო და ძნელად სავალი გახადა. გამოჩენილმა ავსტრიელმა ალპინისტებმა თანმიმდევრულად და შეუპოვრად ძლიეს ყველა დაბრკოლება და მწვერვალს თავზე მოექცნენ. გამარჯვების სიხარულს მათთან ერთად ინაწილებდა ცნობილი საბჭოთა მთამსვლელი ვ. აბალაკოვი. ის სტუმრად იმყოფებოდა ავსტრიელ ალპინისტებთან და გარდა ე. წ. „კაბინეტური" შეხვედრებისა, შთაბეჭდილებათა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა, მათთან ერთად მიიღო მონაწილეობა მწვერვალზე ლაშქრობაში.

ავსტრიაში ყოფნისას ვ. აბალაკოვმა რამდენიმე მოხსენება წაიკითხა საბჭოთა ალპინიზმის განვითარების შესახებ, რომლებსაც თან ერთვოდა დოკუმენტური კინოფილმების — „გამარჯვების პიკის", „მუზჯილგის დაპყრობის", „მეგობრობის პიკის", „პამირის უმაღლესი მწვერვალის" დემონსტრირება. ავსტრიელ მთამსვლელებთან ვ. აბალაკოვის შეხვედრებისას გამოითქვა სურვილი ორი ქვეყნის ალპინისტთა ჯგუფების ურთიერთგაცვლის, შეხვედრებისა და სპორტული თანამშრომლობის შესახებ.

### შვეციაში, ევროპის პირველობაზე

მთელ რიგ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან შვეციაში გაფრინდა საბჭოთა მოციგურეთა ჯგუფი, რომელშიც შედიან ო. გონჩარენკო, დ. საკუნენკო, რ. მერკულოვი, ბ. შილკოვი, ვ. შილიკოვსკი და ბ. ციბინი. საბჭოთა სპორტსმენების პირველი ოფიციალური გამოსვლა იქნება ევროპის ჩემპიონატი, რომელიც გაიმართება შვეციის ქალაქ ესკილსტუნეში 1-2 თებერვალს.

ევროპის პირველობის დამთავრების შემდეგ ჩვენი მოციგურენი გაემგზავრებიან ფინეთში. ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე 15-16 თებერვალს გაიმართება მსოფლიო პირველობის ... ლამი.



ს უ რ ა თ ზ ე: მამაცი მეომრების ერთი ჯგუფი, რომელიც სტუმრად იმყოფება საქართველოში. ცენტრში პოლკოვნიკი მ. დიასამიძე.

## სიმამაცე, ძალა, გამძლეობა

საბჭოთა არმიის ისტორიაში მამაცობის ახალი ფურცელი ჩაწერეს კურსკელმა მეომრებმა, რომლებმაც ქალაქის ცენტრში — თაბაშირის ქარხნის ახლოს გერმანელების მიერ 15 წლის წინათ ჩამარხული ფეთქებადი მასალის დიდი საწყობი უვნებელყვეს, მოსალოდნელი ხიფათისაგან იხსნეს ქალაქი, მისი მოსახლეობა.

ოქტომბრის ჩვეულებრივ დილას სპეციალურ სიგნალზე კურსკის კიროვის რაიონის მცხოვრებლებმა სასწრაფოდ დატოვეს თავიანთი ბინები და უშიშარ ადგილზე გადავიდნენ. საწყობთან დარჩნენ საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ მიხეილ დიასამიძის მეომრები, რომლებმაც ერთმანეთზე საშიში ზონარით დაკავშირებული ასობით ნაღმი, ყუმბარა მიწიდან ამოიღეს და ქალაქიდან 7 კილომეტრის დაშორებით ააფეთქეს.

8-საათიანი დაძაბული შრომა მხოლოდ დროდადრო წყდებოდა. და ეს მაშინ, როდესაც კურსკს მგზავრებით დატვირთული მატარებელი მოადგებოდა. არმიელები მაშინ ნაღმებს შორდებოდნენ, უფრთხილდებოდნენ საბჭოთა ადამიანების სიცოცხლეს, საკუთარ განსაცდელზე კი თითქოს არც ფიქრობდნენ. ხოლო სპეციალური სიგნალი მეორედ რომ მისცეს, გახიზნულები თავიანთ ოჯახებში დაბრუნდნენ — ბოროტი კვალი აღმოფხვრილ იქნა. დაცარიელებული ქუჩები კვლავ ახმაურდა, ათასობით უბრალო ადამიანი უშიშარ მეომრებს გულთბილ მადლობას უხდიდა.

მთავრობის ჯილდოები დაიმსახურეს პოლკოვნიკმა დიასამიძემ და მისმა მეომრებმა ლეონიდ გორელიკმა, გიორგი პოროტიკოვმა, ვიქტორ ივაშჩენკომ, ანატოლი სელივანოვმა, მიხეილ ტიურინმა, ვასილ გოლუბენკომ, ივანე მახალოკმა, დიმიტრი მარლიშვილმა, გურამ ურუშაძემ, ქამილ ხაკიმოვმა, ნიკოლოზ ხოლოდოლნიკოვმა, ივანე ბოჩაროვმა, ალექსანდრე ჩეკრიგინმა.

არმიელთა გმირობა უსაზღვროა, მაგრამ საქმე მხოლოდ თავგანწირვაში როდია. კოლოსალურია ის სამუშაო, რაც დროის მცირე მონაკვეთში შესრულებულ იქნა 10 ტონის სიმძიმის ფეთქებადი მასალის მიწიდან ამოსაღებად, გადასაზიდად და ბოლოს ასაფეთქებლად. ორმოში მარტო 122 კილოგრამი სიმძიმის 175 ჭურვი იყო. მდგომარეობას აძნელებდა ის, რომ თვითეული ჭურვი მხოლოდ ორ ადამიანს უნდა აეწია, ხელის მოკიდება მხოლოდ გარკვეულ ადგილზე იყო შესაძლებელი. ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ სახეზე მარლიშვილსა და მახალოკს მთელი სამუშაო რომ დააწვათ ზურგზე. ეს უპირველეს ყოვლისა იყო შრომის ოფლი და არა საფრთხით გამოწვეული შიშის გამოხატულება.

გმირებს მამაცობასთან ერთად გამარჯვება მოუტანა ენერგიამ და ძალამ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოპერაციის ყველა 14 მონაწილე სპორტის მოყვარულია, სერიოზულ ყურადღებას უთმობს ფიზიკურ წრთობას. კურსკისა და მეზობელი ოლქების ტერიტორიაზე განნაღმველებს ხშირად უხდებათ მივლინებით წასვლა. და როგორადაც სწრაფად არ უნდა მოხდეს ეს, არმიელებს უკან მიჰყვებათ დატვირთული მანქანა, რომელიც... სავარჯიშო იარაღებით არის სავსე. სანამ ნაღმების ამოლაგებას, მათ გადაზიდვას შეუდგებიან, ისინი თამაშობენ ფრენბურთს, ერთმანეთს ეჯიბრებიან სიმძიმეების აწევაში, ტანვარჯიშში. ამით მუშავდება გამძლეობა, რაც მათ საშიში მუშაობის დროს დიდ დახმარებას უწევს. უკანასკნელი წლების განმავლობაში მხოლოდ კაპიტან ლეონიდ გორელიკის ჯგუფმა მიწიდან ამოიღო 60 ათასზე მეტი ყუმბარა და ჭურვი...

პოლკოვნიკი დიასამიძე უკვე კარგახანია გასცდა ახალგაზრდობის ასაკს, ამიტომაც ვარჯიშისაგან შედარებით თავს იკავებს. მაგრამ იგი სავსებით როდი ჩამოშორდა სპორტს. საკმარისია ითქვას, რომ დიასამიძე მშრომელთა დეპუტატების კურსკის საქალაქო საბჭოსთან არსებული მუდმივი სპორტული კომისიის თავმჯ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.).

### ნახევარფინალში

ბაქოში დაიწყო საბჭოთა კავშირის 1958 წლის პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში, შეჯიბრებაში მონაწილეობენ ბაქოს, თბილისის, ერევნისა და სხვა ქალაქების უძლიერესი სპორტსმენები.

საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავენ რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონები ვაჟთა შორის ვ. კუდაშვილი და ვ. ლარიბაშვილი. ქალთა შორის უძლიერესი სპორტსმენები ნ. იზაშვილი, ე. ხანთაძე და ნ. ფერაძე.

შეჯიბრებაში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობის ფინალში.

### მაღალი შედეგები

ჩელიაბინსკის ოლქის მძლეოსანთა ზამთრის პირველობაზე ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ქალმა ტ. ჩენჩიკმა. დახურულ დარბაზში მან გადალახა 170 სმ სიმაღლე. ვაჟთა შორის სპორტის ოსტატმა ი. ლუკაშევიჩმა დაძლია 195 სმ.

### ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტში

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა გ. ბაბახანიდს (ცალათბურთი).

საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა სპორტულ ტანვარჯიშში — სპორტის ოსტატს გ. ყირმელაშვილს, ძალოსნობაში — სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. სვეტილკოს.

### მ. იცკინას შედეგის გამეორება

ავსტრალიელმა მძლეოსანმა ქალმა ბ. კატბერტმა ქალაქ პერტში გამართულ შეჯიბრებაზე 220 იარდი 23,6 წამში გაირბინა და ამით გაიმეორა მსოფლიო რეკორდი ამ დისტანციაზე, რომელიც საბჭოთა მორბენალს მ. იტკინას ეკუთვნის.



მოსკოვი. 18 იანვარს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში შედგა ამხანაგური მატჩი შაიბიან ჰოკეიში პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა საბჭოთა ჰოკეისტების გამარჯვებით—11:1.

* * *

სურათზე: პოლონელი და საბჭოთა სპორტსმენები გადასცემენ ერთმანეთს სამახსოვრო სამკერდე ნიშნებს.

# მცირერიცხოვან წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურის გაერთიანებული კოლექტივების დებულება

ძირეულ კოლექტივებში მუშაობის გაუმჯობესების, სპორტლონისძიებებში რეგულარულად მონაწილეობისა და ფიზკულტურელთა მაჩვენებლების ზრდის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამას წინათ შეიმუშავა დებულება მცირე მასშტაბის წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურის გაერთიანებული კოლექტივების შექმნის შესახებ, რომლის მიხედვითაც ფიზკულტურის გაერთიანებული კოლექტივი იქმნება ერთდაიმავე სპორტსაზოგადოებაში (უწყებაში) შემავალი მცირერიცხოვანი ძირეულ კოლექტივების ბაზაზე, მათი ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. ამასთან ერთობლივი სასწავლო-სპორტული მუშაობის უკეთ წარმართვისა და შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ხდება მათი ფულადი სახსრების გაერთიანებაც.

გაერთიანებული კოლექტივის მონაწილეობასა და რაოდენობას შეჯიბრებებში ცალკეული ჯგუფების მიხედვით ყველა შემთხვევაში განსაზღვრავენ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული და საქალაქო კომიტეტები. გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივებში შემავალი ცალკეული საბჭოები თავიანთ საწარმოო-დაწესებულებებში უზრუნველყოფენ მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების ჩატარებას, საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვას, მშთ კომპლექსზე ნორმატივების ჩაბარებას, აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს, აქტიური დასვენების დღეებს და ა. შ.

გაერთიანებულ ფიზკულტურულ კოლექტივებში ყოველდღიურ საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს საბჭო, რომელიც იქმნება ცალკეულ კოლექტივთა საბჭოების წარმომადგენლებისა და იმ ფიზორგებისაგან, რომლებიც შედიან გაერთიანებულ კოლექტივში. საბჭოს შემადგენლობაში შედიან აგრეთვე იმ სპორტნაგებობათა დირექციის წარმომადგენლებიც, სადაც შექმნილია გაერთიანებული კოლექტივი. გაერთიანებული კოლექტივის საბჭოს შექმნის შემდეგ იგი თავის რიგებიდ ირჩევს თავმჯდომარეს, მოადგი ლეებს და მოქმედებს ფიზკულტურის კოლექტივის საქმიანობის შეს ხებ არსებული დებულების საფუძ ველზე.

გაერთიანებული ფიზკულტურ კოლექტივის ფონდი შედგება საბჭო მიერ დაგროვილი სახსრებიდან, რომლებსაც გამოყოფენ მასში შემავა ლი წარმოება-დაწესებულებების პროფ კავშირული ორგანიზაციები, მასობ რივ-ფიზკულტურული და სასწავლო სპორტული მუშაობისათვის, შესას ვლელი და საწევრო ანარიცხებისა გან, ჩატარებულ სპორტლონისძიებე სა და სხვადასხვა შემოსავლისაგან.

გაერთიანებულ კოლექტივებში სა სწავლო-სპორტული მუშაობის უკეთ დაყენების მიზნით იქმნება სექციებ სპორტის ცალკეულ სახეობათა მი ხედვით, რომელთა საქმიანობას ხელ მძღვანელობს სექციების საერთო კრებაზე არჩეული ბიურო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს ფიზ კულტურის კოლექტივების სექციე ბის მუშაობის შესახებ არსებულ დებულების შესაბამისად.

გაერთიანებულ ფიზკულტურ კოლექტივებში შიდაკოლექტივ შეჯიბრებები ტარდება სხვადასხვ სისტემით — სპორტულ თამაშებში წრიული, ხოლო სხვა სახეობებში — ტურების მიხედვით, რომელშიც მო ნაწილეობენ ერთიან კოლექტივში შემავალი საწარმოოთა კოლექტივებ და სპორტსმენები. სამაგიეროდ, რაი ონულ მასშტაბის ღონისძიებებზე გა ერთიანებულ კოლექტივებს გამო ყავთ ნაკრები გუნდები, რომლებიც დაკომპლექტებულია გაერთიანებუ ლი ფიზკულტურული კოლექტივ უძლიერესი სპორტსმენებისაგან.

ფიზკულტურისა და სპორტის რეს პუბლიკურმა კომიტეტმა ფიზკულ ტურული გაერთიანებული კოლექ ტივისადმი ხელმძღვანელობა, კონტ როლი და დახმარება დაავალა პროფ კავშირულ კომიტეტებს, სპორტსაზო გადოებათა საბჭოებსა და ფიზკულ ტურისა და სპორტის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს.

## შერჩეული არიან უძლიერესნი

სოხუმის სტენდზე ჩატარდა შეჯიბრება სასტენდო სროლაში, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება მომავალი მსოფლიო პირველობისათვის, რომელიც გაიმართება 16-29 აგვისტოს მოსკოვში. ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 40-მდე უძლიერესი მსროლელი. ადგილიდან სროლაში საქართველოდან გამოდიოდნენ საერთაშორისო სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი და სპორტის ოსტატი თ. საგანელიძე, ხოლო მრგვალ სტენდზე — საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონი ბ. ანტონოვი და სპორტის ოსტატი ლ. სიმონიანი.

ადგილიდან სროლაში კიეველმა ვ. სლუხოვსკიმ, ლენინგრადელებმა ს. კალინინმა და ვ. გოლევმა, თბილისელმა ზ. მაჩხანელმა 50 სამიზნედან მხოლოდ თითოს დააცილეს. არ გაუმართლა ზ. მაჩხანელს მესამე სერიაში, სადაც მან შეძლო მხოლოდ 21 სამიზნე დაეზიანებინა. საერთო ჯამში (300 სამიზნეზე სროლაში) ადგილები ასე განაწილდა ს. კალინინი, ვ. სტეპინი და ზ. მაჩხანელი.

ბრწყინვალედ ესროდა თბილისელი ბ. ანტონოვი მრგვალ სტენდზე. მან პირველი სერია სუფთად გაიარა, მეორე და მესამე სერიაში მხოლოდ თითო სამიზნეს დააცილა, ხოლო მეოთხე სერია კვლავ სუფთად გაიარა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ევროპის ჩემპიონს ნ. დურნევს (მოსკოვი), ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ხარკოველი ა. კაპლერი მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა მათ. 96 სამიზნე დააზიანა მოსკოველმა ა. შიროუხოვმა.

მეორე დღეს უნდა გამოევლინებინა, თუ ვინ მოიპოვებდა უძლიერესის სახელს მრგვალ სტენდზე სროლაში. დამაჯერებლად დაიწყო სროლა ბ. ანტონოვმა, მან შეძლო 24 სამიზნის დაზიანება მაშინ, როდესაც მისმა მთავარმა კონკურენტმა ნ. დურნევმა მხოლოდ 19 სამიზნის დაზიანება მოახერხა. მართალია, მან მეორე და მესამე სერია სუფთად გაიარა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. საერთო ჯამში მან 191 სამიზნე დააზიანა 20 შესაძლებლიდან, მაშინ, როცა ბ. ანტონოვმა ერთი ქულით გადააჭარბა ამ შედეგს, ამდენივე ქულის მოპოვება შეძლო მოსკოველმა ა. შიროუხოვმა და მათ შორის დაინიშნა დამატებითი სერია, რომელიც დამთავრდა ბ. ანტონოვის გამარჯვებით, მესამე ადგილზე გამოვიდა ნ. დურნევი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკიდან შეყვანილია სამი სპორტსმენი ზ. მაჩხანელი, ბ. ანტონოვი და ი. საგანელიძე. ამ უკანასკნელმა მართალია, დაიკავა მე-12 ადგილი, მაგრამ როგორც ნიჭიერი, მზარდი მსროლელი შეყვანილ იქნა ნაკრებში.

**ჯ. მოწონელიძე**

## სპორტსმენი № 1

**სტოკჰოლმი.** გასული სეზონის შედეგების მიხედვით № 1 სპორტსმენის სახელი შვეციაში მიეკუთვნა მძლეოსანს დ. ვერნას. მომდევნო ადგილები დაიკავეს ფეხბურთელმა ჰუნარ ერინმა და ჩოგბურთელმა ს. დავიდსონმა.

# ცხენოსნის ფიზიკური მომზადების შესახებ

თანამედროვე სპორტი დიდ მოთხოვნილებებს უყენებს სპორტსმენის ორგანიზმს. სპორტის ყოველ სახეობაში დღითიდღე იზრდება ტექნიკური მაჩვენებლები, ამასთან დაკავშირებით იზრდება საკლასიფიკაციო ნორმები. კერძოდ, ბოლო წლებში ძალზე გართულდა ნორმები საცხენოსნო სპორტის კლასიკურ სახეობებში (სამჭიდი, ხტომები თასზე და ხტომები უმაღლეს კლასში). ეს სირთულე მოითხოვს მხედრისა და ცხენის მომზადების მეთოდიკის გადასინჯვას, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

საცხენოსნო სპორტში დღემდე რატომღაც უმთავრესი ყურადღება ეთმობა ცხენის მომზადებას, ხოლო მხედარი მეორე პლანზეა გადასული და ნაკლები ყურადღება ექცევა. გარდა ამისა, სპორტსმენის მთელი ვარჯიშის პერიოდში უდიდესი ყურადღება ექცევა ცხენის მართვის ტექნიკის გამომუშავებას და მის დახვეწას, ხოლო მისი ფიზიკური მომზადება, რომელიც სპორტის ყველა სახეობაში აუცილებელ ბაზისს წარმოადგენს, მწვრთნელებს დავიწყებული აქვთ. ისმის კითხვა, თუ კი ცხენის მომზადებას, სრულიად სამართლიანად, ჯერ იწყებენ ფიზიკური და ფუნქციური მომზადებით და თანდათან გადადიან მომზადების ტექნიკურ მხარეზე, რატომაა ეს დავიწყებული მხედრის მიმართ საწვრთნელ პერიოდში?

როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო შეჯიბრებებზე მეტად ხშირი მოვლენაა, როცა ცხენი, რომელსაც უფრო მეტი ფიზიკური დაძაბვა უხდება, ვიდრე სპორტსმენს (თუ გავითვალისწინებთ ორივეს ფიზიოლოგიურ შესაძლებლობას), უკეთეს მდგომარეობაში მოდის ფინიშთან, ვიდრე მხედარი. სპორტსმენს არა აქვს ხოლმე საკმაოდ გავარჯიშებული გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემები და ფიზიკურ დატვირთვაზე დიდ რეაქციას იძლევა. ამგვარ ორგანიზმს არა აქვს დიდი ადაპტაციის (დატვირთვასთან შეგუების) უნარი და მალე იღლება.

წარმოვიდგინოთ გამოცდილი, ტექნიკურად დახვეწილი მხედარი, მაგრამ არასაკმარისი ფიზიკური მომზადებით, სამჭიდის ურთულეს ეტაპზე — საველე სვლაში. იგი მთელ ეტაპზე ტაქტიკურად და ტექნიკურად სწორედ მართავს ცხენს. მაგრამ დარჩა უმნიშვნელო მანძილი ფინიშამდე და მხედარი იღლება, იწყებს ხშირ, ზერელე სუნთქვას, „არ ყოფნის სუნთქვა". ეს არათანაბარი სუნთქვა, რომელიც დისჰარმონიულია წარმოებულ მოძრაობათა მიმართ, იწვევს სხეულის ზოგიერთი ნაწილის დროებით და ნაწილობრივ შებოჭვას. ამის გამო ირღვევა ცხენზე სწორი ჯდომისათვის აუცილებელი წონასწორობა, ირღვევა კონტაქტი ცხენსა და მხედარს შორის. ცხენს კრიტიკულ მომენტში ესაჭიროება მხედრის გაბედული და გადამწყვეტი მოქმედება, რაც მხედარს აღარ შეუძლია და იგი ცხენისათვის უკვე ზედმეტ ტვირთად იქცევა.

ფიზიკურ მომზადებას არამც თუ აქვს მნიშვნელობა, არამედ გადამწყვეტიცაა. შეიძლება ზოგიერთს ჰგონია, რომ მხედარს არ მოეთხოვება დიდი ფიზიკური ძალა, რადგანაც ძირითად სამუშაოს ასრულებს ცხენი. ზოგიერთის წარმოდგენით, სპორტსმენი მგზავრია, რომელსაც გულმოდგინედ მიათრევს ცხენი. სანამ ეს მას შეუძლია.

ცხენოსნობის ასეთი გაგება პრიმიტიული და ყოვლად დაუშვებელია. საცხენოსნო სპორტი ძალზე რთულია და ამავე დროს ყველა სახეობის სპორტისაგან განირჩევა თავისი თავისებურებებით. სირთულე და თავისებურება გამოწვეულია იმით, რომ ცხენოსნობას საქმე აქვს ორ ცოცხალ არსებასთან: ადამიანთან და ცხენთან. ეს ორი არსება თავიანთი მოქმედებით შერწყმულია ისე, როგორც ერთი მთლიანი. მათი შრომა ასეა განაწილებული: ძირითადი ფიზიკური სამუშაო მოდის ცხენის ხარჯზე, მისი წვრთნა (ფიზიკური და ტექნიკური) მართვა (მარტივი და ტექნიკური), შეჯიბრებაზე მთლიანად მინდობილია მხედარზე. ცხენი გრძნობს მხედრის ყოველ მოძრაობას, გამბედაობას და ძალას, ყოყმანს და სიაუსტეს კრიტიკულ მომენტში. ცხენი მთლიანად მინდობილია მხედარზე და საკმარისია მან წამითაც მოაკლოს მას „მორალური" მხარდაჭერა, რომ ცხენიც გაუბედავი და უმწეო ხდება და კარგავს გამარჯვების „რწმენას".

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წვრთნის დასაწყისში ცხენი საკმაოდ თვითნებაა, თავისებურად „აზროვნებს" და ადვილად არ ემორჩილება სპორტსმენს. მხედარი უმუშავებს მას გარკვეულ მოძრაობებზე შესაფერის რეფლექსებს, მისი მიზანია ცხენი გაწვრთნას ისე, რომ იგი ემორჩილებოდეს მის ყოველ ნება-სურვილს. თუ დაირღვა ეს პირობა, ცხენი ღებულობს მისთვის უჩვეულო გამღიზიანებლებს: ზედმეტ ინტენსიურს ან პირიქით — სუსტს.

როცა ნერვიული მხედარი თავის მოთხოვნაზე ცხენისგან ვერ მიიღებს ზუსტ ან საჭირო მოძრაობას, იგი ზედმეტად იგზნება და ცხენისაგან მოითხოვს მის შესაძლებლობაზე მეტს, რასაც ცხენი ვერ აკმაყოფილებს. მხედარი უფრო ნერვიულობს და შეცდომას შეცდომაზე უშვებს. აქედან გამომდინარე, მხედარი უნდა იყოს მშვიდი, გაწონასწორებული ხასიათისა. ამის მისაღწევად ყველაზე კარგი საშუალებაა კუნთების ვარჯიში, ვინაიდან „კუნთების ვარჯიში — ეს ნერვების ვარჯიშია".

საცხენოსნო სპორტში ხშირი მოვლენაა, როცა მაღალი კლასის ცხენი, დაჯილდოებული შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემებით ხტომაში, წვრთნის დასაწყის პერიოდში ხალისით მიდის წინააღმდეგობებზე, გამოირჩევა თავისი ენერგიული და გაბედული ნახტომით, ხოლო რაც დრო გადის სულ უფრო ცუდად იწყებს ხტომას, ხდება ზედმეტად აგზნებული და ფრთხილი. ამას ხშირად მოსდევს ტრავმები, რაც ცხენში აძლიერებს საკმაოდ მყარ თავდაცვის რეფლექსს. იგი ჯიუტად უარს ამბობს ხტომაზე.

უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხენოსნობაში მხედრის ფუნქციონალურ და ფიზიკურ მომზადებას.

კონკრეტულად რა ღონისძიებებია საჭირო, რომ მხედრის ფიზიკური განვითარების საქმე გამოსწორდეს?

ფიზიკური განვითარების მიღწევა შეიძლება სხვადასხვა მეთოდებით. ფიზიკური ვარჯიშები ზომიერად უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან არასპეციალური ვარჯიშებით გადატვირთვამ შეიძლება მხედარი ააცდინოს ძირითად მიზანს.

კარგი იქნებოდა თუ დავუბრუნდებოდით ახლა თითქმის მივიწყებულ ბოლთიყირებას. ბოლთიყირება ანუ „ტანვარჯიში ცხენზე", შესანიშნავი საშუალებაა კუნთების განვითარებისათვის. მასში საკმაოდაა ტანვარჯიშის რთული ილეთები, რაც კიდევ უფრო რთულდება იმით, რომ იგი სრულდება სხვადასხვა ალურზე (ჩორთი, ნავარდი). ბოლთიყირებაში ვარჯიშის ყველა ელემენტი დაკავშირებულია ცხენის მოძრაობასთან და თუ მათ შორის არ არის თანაზომიერება, მაშინ ილეთიც ვერ სრულდება. ბოლთიყირება ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალებაა ცხენზე კოორდინირებულ მოძრაობათა გამოსამუშავებლად.

გარდა ამისა, კარგი იქნებოდა, საცხენოსნო სკოლებში დაიდგას ტანვარჯიშული კედელი, რომელიც სხეულის სხვადასხვა ნაწილებ გავარჯიშების შესანიშნავი საშუ ლებაა.

წვრთნის ან შეჯიბრების წ ცხენოსანი, როგორც კანონი, აკეთებს ხოლმე მოთელვას (ცხე კი ყოველთვის უკეთებენ). ცხენ დაჯდომამდე მოთელვის მიზნით სა ჭიროა გამოყენებულ იქნას ტა ვარჯიშული კედელი.

კარგი იქნებოდა ასეთივე გარკვე ული სიფრთხილით (რომ არ გად ვტვირთოთ სპორტსმენი), შეგვეტ ნა რბენის ელემენტები, რომელ კარგი საშუალებაა გულსისხლ ძარღვთა და სასუნთქი სისტემ ბის ფუნქციის გაუმჯობესებისათ ვის.

ცხენოსან სპორტსმენთა ფიზიკუ რი მომზადების საკითხი უნდა გა დაჭრით დაისვას შესაფერის ორგა ნოებში საკავშირო მასშტაბით. სა სურველია, რომ ამ საკითხით პირ ველად დაინტერესდეს თბილისი საცხენოსნო-სპორტული სკოლ რომელსაც აქვს ყველა საამისო სა შუალება.

**დ. ჭვერავა**

ექიმი, პირველთანრიგოსანი ცხე ნოსანი.

## სიახლენი სლალომის წესებში

ამას წინათ გაზეთმა „შპორტმა" (დასავლეთ გერმანია) გამოაქვეყნა წერილი სლალომისტთა საერთაშორისო შეჯიბრებათა ახალი წესების შესახებ, სადაც გამოთქმულია ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნებიც.

ახალი დებულება შეჯიბრების წესების შესახებ ითვალისწინებს, რომ სპორტსმენის მიერ ტრასა დამთავრებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენი ყველა კარს გაივლის ორივე ფეხით. კარის გამოტოვებისათვის მონაწილეს საჯარიმო ქულა კი არ დაეწერება, როგორც ეს წინათ იყო, არამედ დისკვალიფიცირებულ იქნება.

რამდენადაც კარის არასწორად გავლა (გამოტოვება, ძელზე დაჯახება) იწვევს სპორტსმენის დისკვალიფიკაციას, მეტ ყურადღება მოითხოვს მსაჯთა მხრიდან, ახალ წესები საგრძნობლად გააძნელებ წესის დარღვევის ფაქტების აღრი ცხვას. სლალომისტის მიერ ყველ კარის აღების ფოტოგრაფირება კი როგორც უტყუარი დოკუმენტ შეუძლებელია.

ამ შემთხვევაში მსაჯთა მდგომა რეობას ერთგვარად ამსუბუქებ ახალი ხელსაწყო ტრასაზე. სლალო მის აღმნიშვნელი ძელის თავზე მა გრდება ჩოგბურთის ბურთი, რომე ლიც მიბმულია ძელზე, სპორტსმენ მიერ ძელზე შეხების შემთხვევაშ ბურთი ვარდება — წესის დარღვე სახეზეა, რისთვისაც სპორტსმენის შე დეგი არ ეთვლება.

## შეიცვალა რაისაბჭოს შემადგენლობა

ამ დღეებში ლაგოდეხში გაიმართა „კოლმეურნის" რაიონული კონფერენცია, რომელმაც მოისმინა რაისაბჭოს თავმჯდომარის მ. ჩხეიძის მოხსენება გასული წლის შედეგების შესახებ.

კონფერენციამ აირჩია „კოლმეურნის" რაისაბჭოს ახალი შემადგენლობა, რომლის თავმჯდომარეა მ. ავაკიმოვი.

**ფ. კვირიკაშვილი**

# შესარჩევი შეჯიბრება

26 იანვრიდან ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში, დაიწყო თბილისის ვაჟთა და ქალთა გუნდების შესარჩევი პირველობის გათამაშება ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, თბილისის განათლების განყოფილების, ოსკა-ს, „განთიადის“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა და პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, „განთიადის“, „ლოკომოტივის“, თბილისის განათლების განყოფილების და ქალაქ გორის (კონკურსგარეშე) ქალთა ნაკრები კოლექტივები. ასპარეზობაში 1-4 ადგილზე გამოსული კოლექტივები დაიშვებიან საქართველოს 1958 წლის პირველობის ფინალში.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ „განთიადისა“ და ქალაქ გორის ქალთა ნაკრები გუნდები, ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს „განთიადის“ სპორტსმენებმა. შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ საქართველოს 1958 წლის ჩემპიონი გოგონათა შორის თბილისის განათლების განყოფილების და დედაქალაქის „ლოკომოტივის“ გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს განათლების განყოფილების ფრენბურთელებმა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენთა სასარგებლოდ — 2:1.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელმა ვაჟებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს თბილისის განათლების განყოფილების ჭაბუკები. ამავე ანგარიშით ოსკა-ს გუნდმა სძლია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელები. შემდეგ გაიმართა თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა. მატჩი მოიგო „ა“ კლასის ოსტატთა გუნდების ტურნირის მონაწილემ — „ბურევესტნიკმა“.




VIII ტურის შემდეგ ჩემპიონატში დაგროვდა მრავალი გადადებული და დაუმთავრებელი პარტია, რომელთა გათამაშებას უნდა გაერკვია ჩემპიონატის ლიდერები, მაგრამ ათი პარტიის ნაცვლად გათამაშდა მხოლოდ სამი. ტალის, ტოლუშისა და ბორისენკოს ავადმყოფობის გამო მათი პარტიები არ შემდგარა.

ყველაზე ადრე დასრულდა ბანიკ-კოტოვის პარტია. გროსმაისტერმა ტექნიკურად ზუსტი თამაშით სულ მალე ცხადყო თავისი დიდი უპირატესობა და 51-ე სვლაზე გაიმარჯვა. რამდენიმე სვლით მეტი გაკეთდა ტაიმანოვ-ბრონშტეინის პარტიაში. მოსკოველი გროსმაისტერი ჩინებულად აწარმოებდა დაცვას. როდესაც მან უვნებელყო მოწინააღმდეგის ზედმეტი პაიკი, ტაიმანოვს ყაიმი შესთავაზა, რომელიც ლენინგრადელმა მიიღო.

საინტერესო მდგომარეობაში იყო გადადებული სუეტინ-გელერის პარტია. სუეტინს ჰქონდა ლაზიერი და ერთი პაიკი, გელერს — ეტლი, კუ და სამი პაიკი. გელერი შეეცადა გამარჯვებისათვის გამოეყენებია თავისი ფიგურების მოძრავუნარიანობა. მაგრამ მას ხელს უშლიდა სხვადასხვა ხაზზე თავისი პაიკების მდებარეობა. სუეტინმა ეს გარემოება კარგად გამოიყენა და ყაიმსაც მიაღწია.

ამრიგად, VIII ტურის შემდეგ ჩემპიონატში ასეთი მდგომარეობაა: ე. გელერს — 5,5 ქულა აქვს, ი. ავერბახს და ბ. სპასკის — 5-5, დ. ბრონშტეინსა და ი. ბოლესლავსკის — 4,5-4,5 და თითო გადადებული პარტია, მ. ტალს — 4 და ორი გადადებული პარტია, ტ. პეტროსიანსა და ა. კოტოვს — 4-4 და თითო გადადებული პარტია, ბ. გურგენიძეს და ლ. პოლუგაევსკის—3,5-3,5 ქულა, მ. ტაიმანოვს და ა. სუეტინს — 3-3 ქულა, გ. ბორისენკოს — 2,5 და ორი გადადებული პარტია, ა. გიპსლისს — 2,5 და ერთი გადადებული პარტია, ს. ფურმანს — 2,5 ქულა, ა. ტოლუშს — 2 ქულა და ორი გადადებული პარტია, ნ. კროგიუსს — 2 და ერთი გადადებული პარტია, ა. ბანიკს — 1,5.

ქვემოთ მოგვყავს გროსმაისტერ მ. ტაიმანოვთან ბ. გურგენიძის პარტიის დასკვნითი ნაწილი.

ბ. გურგენიძე



მ. ტაიმანოვი

პოზიციის გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება თითქოს გურგენიძის მეფეს არ აქვს საიმედო თავშესაფარი. მაგრამ ეს შეხედულება მცდარია.

32. ე: b7+ მფh6! (ამას ალბათ ტაიმანოვი არ მოელოდა. h6-ზე მეფე კარგად გრძნობს თავს).

33. c5 d3 34. c6 მe2+! (ზუსტი სვლაა. არ შეიძლებოდა 34. ... d2, 35. ეd7 პაიკის მოგებით).

35 მფh1 d2 36. ლh3+ მფg5 37. ლe3+ეf4 38. c7 d1ლ+ 39. მფh2 ლh8+ და თეთრები დანებდნენ, რადგან 40. კh3-ზე იქნებოდა 40. ... ლ:h3+! და 41. ... ლh1X.

# „ავანგარდის“ ინიციატივა

ცხაკაიას რაიონულმა გაზეთმა „ავანგარდმა“ ჩაატარა რესპუბლიკური კონკურსი საჭადრაკო კომპოზიციაში, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

კონკურსი ჩატარდა ორი და სამსვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში. კონკურსში მონაწილეობა მიიღო კომპოზიციის მოყვარულთა სარეკორდო რაოდენობამ — 258 კაცმა. კონკურსის ჟიურიმ (საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჰ. კასპარიანი, ვ. კეშელავა და ამ სტრიქონების ავტორი) განიხილა კონკურსზე შემოსული მასალები.

ორსვლიან ამოცანებში I პრიზი მიენიჭა აბაშელ კომპოზიტორებს გ. კორძახიასა და ა. მელაძეს კოლექტიური ნაშრომისათვის

გ. კორძახია, ა. მელაძე (აბაშა)



შამათი 2 სვლაში

1. ლa8! თუ 1. . . . ეg8c7, მაშინ 2 ლh8X 1. . . . ეb7 2. ლa1X, 1. . . . g4. 2. მd3X და ა. შ.

II პრიზი მიეკუთვნა ი. კრიხელს (გორი). III პრიზი დაისაკუთრა ქუთაისელმა ი. კოტრიკაძემ.

სამსვლიან ამოცანებში დიდი შთაბეჭდილების მომხდენია ი. კრიხელის ამოცანა. მასში კარგადაა შერწყმული შავების სვლებთან თეთრი მეფის მანევრები.

II პრიზი მიენიჭა სოფ. დრანდას (სოხუმის რაიონი) წარმომადგენელს შ. კვარაცხელიას, III პრიზით დაჯილდოვდა ზესტაფონელი პრობლემისტი ჯ. მახათაძე.

ეტიუდების დარგში ყველაზე უკეთესი იყო ცნობილი ეტიუდისტის გ. ნადარეიშვილის (თბილისი) ნაწარმოები. მას მიეცა 1 პრიზი. აი ეს ეტიუდიც.

რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებაში ცხაკაიას რაიონული გაზეთის ინიციატივა უდაოდ მისასალმებელია.

ვ. ქარსელაძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ი. კრიხელი (გორი)



შამათი 3 სვლაში

1. ეd7! მუქარით კ : d6+ და მg4X თუ 1. . . . კb4, მაშინ 2. მფh2!; 1. . . . მc8 2. მფf1!; თუ 1. . . . ეb6 2. მფg1!.

გ. ნადარეიშვილი (თბილისი)



თეთრები იწყებენ და იგებენ

1. ეd7+ მფc4 2. ეc7+ მფb3 3. ეc3+ მფ : a2 4. ეa3+ მფb1 5. b7 ეe8 6. ეa8 ე:a8 7. baკ! მფa2 8. კd5+ მფb1 9 კa3! b4 10. კb3 ba 11. კg8 a2 12. კh7X.



# შენდება დარბაზი

თბილისის 54-ე სკოლის ტერიტორიაზე რამდენიმე თვის წინათ ბავშვთა გასართობი ადგილი და პატარა ბაღიც კი იყო გაშენებული. დღეისათვის მათგან არაფერი დარჩენილა. ამ ადგილას დაიწყო სპორტდარბაზის მშენებლობა, სადაც ტანვარჯიშული დარბაზის გარდა იქნება ოთახები კალათბურთის და ფრენბურთის, ჭიდაობის, ფარიკაობის, კრივისა და სხვა სექციებისათვის. დარბაზის ორივე მხარეს მოეწყობა გასახდელები, ექიმის კაბინეტი, შხაპი, მასაჟთა და მწვრთნელთა ოთახები. ცენტრალურ დარბაზში მოეწყობა აგრეთვე ტრიბუნა 300-მდე მაყურებლისათვის.

დარბაზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ მის ირგვლივ მოეწყობა ტანვარჯიშული მოედანი და მძლეოსნური სექტორები. უკვე დამთავრდა მიწის სამუშაოები. „თბილმშენის“ მეორე სამშენებლო სამმართველოს მუშებმა დაამთავრეს კანალიზაციისა და წყლის მილების დამონტაჟება. მშენებლობის ტემპი უფრო სწრაფი იქნებოდა, რომ აქ სათანადო პატივს სცემდნენ მექანიზაციას. სამუშაოთა დიდი ნაწილი სრულდება ხელით, რაც საფრთხეში აყენებს დარბაზის მშენებლობის დამთავრების ვადას. (მშენებლობის დამთავრება ნავარაუდევია ახალი სასწავლო წლისათვის).

ვ. ხანდამიშვილი

* * *

სურათზე: დარბაზის მშენებლობაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სიმამაცე, ძალა, გამძლეობა

(დასასრული)

ლომარეა. მისი ხელმძღვანელობით მუშაობს 29 აქტივისტი-ფიზკულტურელი, რომლებიც საინტერესო ღონისძიებათა მოწყობაში დიდ დახმარებას უწევენ სკოლების, საწარმოების, დაწესებულებათა ძირეულ ორგანიზაციებს. არმიელები • მიდიან სტუმრად ქალაქის ახალგაზრდებთან, აწყობენ შეჯიბრებებს სიმძიმეების აწევაში, კრივში, ჭიდაობაში და სხვ.

სპორტისადმი სიყვარულს მამა შვილებსაც უნერგავს. შვილი ვლადისლავი, რომელიც სუვოროვის სახელობის სასწავლებელში სწავლობს, მოკრივეა. მას პირველი თანრიგი აქვს და თავის წონაში ჭაბუკთა შორის ქალაქის 1957 წლის ჩემპიონია.

ლეიტენანტი ივაშჩენკო ბავშვობაში ტანვარჯიშით იყო გატაცებული, ხალისით ვარჯიშობდა ძელზე, ორძელზე. სამხედრო სასწავლებელშიც არ მიუტოვებია სპორტის საყვარელი სახეობა და 1954 წელს პირველთანრიგოსანი გახდა. ლეიტენანტი ბოლო წლებში სიმძიმეების აწევით დაინტერესდა. შედეგმაც არ დააყოვნა. გასულ წელს ქვემსუბუქ წონაში იგი კურსკის გარნიზონის ჩემპიონი გახდა.

ეფრეიტორ დიმიტრი მარღიშვილის სპორტული გზა მშობლიურ ქიაანში იწყება. აქ იგი სწავლობს ცურვას. თბილისში სახელოსნო სასწავლებელში ყოფნისას „დინამოს“ საცურაო აუზის ხშირი სტუმარია. არმიაში გაწვევის შემდეგ იგი სროლით დაინტერესდა. ხდება სნაიპერი, ხოლო შემდეგ სპორტულ თანრიგებსაც იღებს. ამჟამად დიმიტრი მეორე თანრიგის მიღებისათვის ემზადება, დემობილიზაციამდე კი გადაწყვეტილი აქვს პირველთანრიგოსანი გახდეს.

დიმიტრი დიდ ყურადღებას უთმობს საერთო ფიზიკურ მომზადებას. ტანით მომცრო ყმაწვილს ჯანსაღი და მკვრივი სხეული აქვს. როდესაც დიდი ჰურვების აწევის საკითხი დადგა, მარღიშვილმა პირველმა დაიკავა პოსტი. მას მახალოვიც მიჰყვა. შედარებით სუსტ ხაკიმოვს კი მეგობრებმა სხვა სამუშაო მიანდვეს.

მიმდინარეობდა სამხედრო ოლქის თავისუფალ მოჭიდავეთა ფინალური შეხვედრები. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ყოფილი ჩემპიონი ვორონცოვი და ქართველი გურამ ურუშაძე. გურამის ამხანაგები ხალიჩაზე გამართულ ბრძოლას განსაკუთრებული ღელვით ადევნებდნენ თვალს. გურამი წინადღით ავად გახდა. მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. ავადმყოფობამ თავისი გაიტანა და 9 წუთის ბრძოლის შემდეგ გურამი მეტოქეს დანებდა. ჩემპიონის წოდება დაიკარგა.

. დამარცხებულმა შვებით მაშინ ამოისუნთქა, როდესაც მეტოქე მეორე შეხვედრაში დაჯაბნა. ამხანაგური ორთაბრძოლა ურუშაძემ დამაჯერებლად მოიგო და ოლქის არაოფიციალური ჩემპიონი გახდა. ჭიდაობა გურამმა ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში დაიწყო. გამოცდილი მწვრთნელის ი. მასხულიასაგან 3 წლის განმავლობაში მან ბევრი რამ შეიძინა. შემდეგ გულმოდგინედ ვარჯიშობს და არაერთხელ ისახელა თავი.

რომელ ერთზე უნდა ვილაპარაკოთ. ოპერაციის ყველა მონაწილე სისხლხორცეულად არის დაკავშირებული სპორტთან. ფიზიკურმა წრთობამ, დიდმა ენერგიამ და ძალამ მათ საშუალება მისცა მოეხდინათ საგმირო საქმე, საქვეყნოდ სახელი გაეთქვათ. ამ დღეებში მამაცთა წარმომადგენლებს, რომლებსაც პოლკოვნიკი დიასამიძე ხელმძღვანელობს, აღფრთოვანებით ხვდებიან საქართველოს მშრომელები. და ასე იქნება ყველგან — გაბედულმა, ძლიერმა ადამიანებმა საბჭოთა მოქალაქეების უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურეს.

ლ. მიქაუტაძე

* * *



სურათზე: დ. მარღიშვილი საველე მეცადინეობაზე.

საქართველოს დედაქალაქ თბილისს თავისი არსებობის ათასხუთასი წელი უსრულდება. ამ ჭეშმარიტად ისტორიულ, საზეიმო დღეებში ინტერესმოკლებული არ არის შევეხოთ ძველი თბილისის საასპარეზო მოედნების ისტორიას, გავარკვიოთ, მათი ისტორიული ადგილმდებარეობა.

დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ ქართველები საასპარეზო მოედნებზე თამაშობებს აწყობდნენ თითქმის ყველა დღესასწაულებში და აგრეთვე ქორწილის დროს. იგი წერს: „ხოლო აღდგომის წესი იყო! ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცითა ილოხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვალს მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრით, მას მისციან თასი იგი“.




# ძველი საასპარეზო მოედნები

ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ თბილისში საასპარეზო მოედნები ძირითადად მოწყობილი ყოფილა ყაბახზე (დღევანდელ კომუნარების ბაღის ტერიტორია) და საბურთალოზე.

საბურთალოს, როგორც საასპარეზო მოედნის შესახებ საინტერესო ჩანაწერები დაგვიტოვა იტალიელმა მისიონერმა დიონიჯო კარლიმ, რომელიც მე-17 საუკუნეში იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში.

დიონიჯო კარლი თავის შრომაში „თბილისის აღწერა“ გადმოგვცემს, რომ ქართლის მეფის რომელიღაც გავლენიან ნათესავს დიდი ქორწილი გადაუხდია. ამასთან დაკავშირებით ქართველებს საინტერესო თამაშობანი მოუწყვიათ ქალაქგარეთ, დიდ მინდორზე. როგორც „აღწერაში“ არის მინიშნებული, ეს ადგილი დღევანდელი საბურთალო უნდა ყოფილიყო.

იტალიელი მისიონერი, რომელსაც არ ენახა ქართველების ეროვნული თამაშობანი, გაკვირვებული დარჩენილა, ხოლო მეორე იტალიელი მისიონერი, მხატვარი და ხელოვანი ქრისტეფორე კასტელი იმდენად მოხიბლულა, რომ დაუხატავს როგორც ჩოგანბურთის თამაშის, ისე ყაბახის სურათები, რაც სხვა სურათებთან ერთად დღემდე დაცულია საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

დიონიჯო კარლი წერს: „ქართველები მეომრობით არიან განთქმულნი. ეს ჭეშმარიტებაზე უფრო ჭეშმარიტია, ვინაიდან ქართველების ლაშქარის ნადირობის გარდა, რაშიც ისინი განუწყვეტლივ იწრთობიან, მე ვნახე მათი (ქართველების) განსაკუთრებული თამაშობანი, რომლითაც ისინი ხელმარჯვე ტყორცნას სწავლობენ ისე, როგორც ეს ქვემოთ იქნება აღწერილი.

მეფის ნათესავის ქორწილი გადაიხადეს. ქორწილში დაპატიჟებული იყო საქართველოს ყველა წარჩინებული პირი. განკარგულება გასცეს, რათა თამაში ქალაქგარეთ ერთ დიდ მინდორზე გაემართათ. ამ ადგილს ქართულად დიდი მინდორი ეწოდება. მინდვრის შუაზე აღმართეს მაღალი ყაბახი, რომლის წვერზე მოათავსეს ვერცხლის დაახლოებით 25 პიასტრად ღირებული თასი. შემდეგ ყველა ისინი, რომელთაც ჯირითში მონაწილეობა უნდა მიეღოთ და ცხენებზე შემსხდარიყვნენ, ერთი ისრის სასროლი მანძილით დაშორდნენ ყაბახს, ყველას დაჭიმული შვილდი ეჭირა რკინის წვეტშემოცლილი ის რ ● თ უ რ თ. ერთბაშად ცხენს დეზი ჰკრეს და გაშმაგებული ცხენებით ყაბახისაკენ გაემართნენ. ყველას თვალი თასზე იყო მიპყრობილი. ყაბახს დაუახლოვდნენ თუ არა, თასს ისარი სტყორცნეს. უყურებდი, თუ როგორ ცდილობდა ყველა მხედარი თასისათვის ისარი მოეხვედრებინა და ძირს ჩამოეგდო, ბოლოს ერთმა მოახერხა ეს და თასი ყაბახიდან ძირს გადმოაგდო, რამაც იქ მყოფთა შორის საერთო აღტაცება გამოიწვია. ჭეშმარიტი აღტაცება-ქების ღირსია ის, ვინც ისრის სიმაღლეზე ტყორცნით, გაშმაგებული ცხენის მართვა-ჭენებით, ისე ოსტატურად ირჯება-იღუნება, რომ მეტად მცირე საგანს ისარს ახვედრებს“.

ქართული სახალხო თამაშობანი და სამხედრო ვარჯიშობები ეწყობოდა აგრეთვე მეორე საასპარეზო მოედანზე, რომელიც ასევე ქალაქგარეთ, მაგრამ ქალაქიდან უფრო ახლოს მდებარეობდა, ვიდრე საბურთალოს ასპარეზი. ეს მოედანი ქართლის სამეფო რეზიდენციის ახლოს და მის პირდაპირ ყოფილა მოწყობილი.

ამ მოედანზე თამაშობანი ეწყობოდა უძველესი დროიდან, ვიდრე XIX საუკუნის 20–30-იან წლებამდე.

როგორც ირკვევა, ეს საასპარეზო მოედანი დღევანდელი კომუნარების ბაღის ტერიტორიაზე არსებულა. აქ, გარდა ყაბახისა, ჩოგანბურთისა და ლელობურთისა, სხვა გართობებიც ეწყობოდა. ამ მოედანზე გამართულ თამაშებს, სხვათაშორის, ესწრებოდა პოეტი-სარდალი გრიგოლ ორბელიანი და მისი დისწული, შესანიშნავი პოეტი — ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც ყაბახს ორი ლექსი უძღვნა: „ძია გ...სთან“ და „ღამე ყაბახზე“. ამ ლექსებში მოხსენებულია ყაბახი. პოეტი წერდა:

„ძიავ ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან,
სატრფონი მისნი შემოგარენი
გადახვეწილსა დაგიხშო ეტლმან“.

ნ. ბარათაშვილის დროს, ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ამ საასპარეზო მოედანს ისევ ყაბახს ეძახდნენ, თუმცა 30-იანი წლებისათვის მოედნის თითქმის ნახევარი უკვე ნაგებობებს ეჭირა.

ამ ყაბახის საინტერესო აღწერა დაგვიტოვა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ პლატონ იოსელიანმა. თავის შრომაში „თბილისის სიძველეების აღწერა“ იგი წერს: „ქალაქის ზღუდეთა ჩრდილოთ, მეფის იესეს სახლის პირდაპირ იყო ჰიპოდრომი, ესე იგი საცხენოსნო სარბიელი, სადაც იმართებოდა აგრეთვე სხვადასხვა თამაშობანი და სამხედრო ვარჯიშობანი. ძველად ამ ადგილს ერქვა ასპარეზი, ე. ი. სავარჯიშო ადგილი, შემდეგ დაარქვეს ყაბახი, რომელიც ანძას ნიშნავს, ამ ანძის ზევით თავზე სდებენ ხოლმე საჩუქარს. ეს საჩუქარი იმას ხვდებოდა, ვინც აღნიშნულ ნიშანს მოარტყამდა (ანძა ანუ თალარი აშენებული იყო აგურისაგან) ერთი ამგვარი ანძა ხსენებულ საასპარეზო გაშლილი მოედნის თავში იყო და მეორე—ბოლოში ანძებზე ანუ თალარებზე საუკეთესო მეისრეებისათვის დასვამდნენ ხოლმე ვერცხლისა და ოქროს თასებს. იმავე მოედანზე იმართებოდა ბურთაობა, მარულა და სხვა სამხედრო ვარჯიშობანი. ეს მოედანი სიგრძით 250 და სიგანით 120 საჟ. იყო. 1820 წლიდან ამ მოედნის ნახევარი მოაშენეს კერძო და სახელმწიფო სახლებით, დანარჩენ ნაწილს დაერქვა ალექსანდრეს მოედანი“.

დაახლოებით 1830 წლებიდან ყაბახის საასპარეზო მოედანი მეფის რუსეთის მოხელეებმა მოშალეს, ხოლო შემდეგ, კავკასიის მთავარმართებელ ბარიატინსკის განკარგულებით, ყაბახის ყოფილ ადგილზე ბაღი იქნა გაშენებული.

**ვ. სიდამონიძე**

# არგენტინელები პირველ ადგილზე

„შტუტჰარტის ჟურნალისტთა გა... ერთიანებამ“ შეაჯამა ... ფეხბურთო სეზონის შედეგები, სა... დაც აღრიცხულ იქნა ყოველი სა... ხელმწიფოს ნაკრები გუნდის საერთა... შორისო მატჩები.

1957 წლის სეზონში ყველაზ... უკეთესი შედეგები ჰქონიათ არგენ... ტინელ ფეხბურთელებს. 16 საერთა... შორისო შეხვედრიდან არგენტინელე... ბმა მოიგეს 10, წააგეს 3 და ფრე... დაამთავრეს 3 მატჩი. ბურთების... შეფარდებაა 44:15.

მეორე ადგილზე გამოვიდა ინგ... ლისის ნაკრები გუნდი (7 მატჩიდა... — 5 მოგება, 1 ფრე და 1 წაგებ... ბურთების შეფარდება 22:7).

მესამე ადგილი მიეკუთვნა საბჭო... თა კავშირის გუნდს, რომელმაც ... თამაშიდან 7 მოიგო, 1 ფრედ დაამ... თავრა და 1 წააგო. ბურთების შე... ფარდება 31:5. „ჟურნალისტთა გა... ერთიანება“ კომენტარს უკეთებ... საბჭოთა კავშირის გუნდისათვის მე... სამე ადგილის მიკუთვნებას. გუნდ... მესამე ადგილი მიეკუთვნა იმ მო... ტივით, თითქოს მას ნათამაშები აქვ... უფრო სუსტ მოწინააღმდეგეებთან.

# ჩემპიონობისათვის ბრძოლა თუ ბიზნესი?

ცნობილი ნიუ-იორკელი სპორ... ტული კომენტატორის ოლ ბაკ... ცნობით, მსოფლიოს აბსოლუტურ... ჩემპიონი კრივში ფლოიდ პატერ... სონი შეხვდება დიდი ბრიტანეთი... ჩემპიონს ჯო ერსკინს.

რეიტერის სააგენტოს გადმოცემით... პატერსონის ხელმძღვანელმა კ. დ... მატომ განაცხადა, რომ „პატერსონ... თავის წოდებას დაიცავს ნიუ-იორ... კში, ზაფხულში, ხოლო მანამდე ... ორ შეხვედრას ჩაატარებს ინგლის... ში, თუმცა ეს შეხვედრები მეტა... სარისკო საქმეა“. ბაკმა განაცხადა... რომ ჯო ერსკინი პატერსონისათვ... ყველაზე შესაფერი მოწინააღმდეგ... იქნება. პატერსონის მეორე მოწ... ნააღმდეგე შეიძლება იყოს მელ... ბურნის ოლიმპიური ჩემპიონი პ... რადემაჰერი, რომელიც 1957 წლ... სექტემბერში პატერსონმა ნოკაუტ... ჩააგდო.

—1958 წელი ბედნიერი უნდა იყო... პატერსონისათვის, — დაასრულ... კომენტატორმა, — მის სიხარულ... საზღვარი არ ექნება, როცა შეი... ყობს, რომ ამ წელს მას შეუძლ... გამოიმუშაოს ნახევარი მილიონ... დოლარი.

## ახალგაზრდა მხატვართა კლუბი



— ლბიათ, მენ შენჯალი ...
ნახ. ა ...

**რედაქტორი Ი. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ**




**ლონდონი.** უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე 19 წლის მძლეოსანმა ქალმა ახალი ზელანდიიდან ვალერია სლოუპერმა ბირთვის კვრაში დაიკავა მე-5 ადგილი შედეგით 15,34 მეტრი. წლევანდელ სპორტულ სეზონში სლოუპერმა დაამყარა ბრიტანეთის იმპერიის ახალი რეკორდი 16,10 მ. სლოუპერი საბჭოთა მძლეოსნების შემდეგ მსოფლიოში პირველი ბირთვისმკვრელი ქალია, რომელმაც გადალახა 16-მეტრიანი ზღვარი.

* * *

**სან-ფრანცისკო.** მსოფლიო რეკორდსმენი, ამერიკელი რობერტ გუტოვსკი მრავალმხრივი მძლეოსანია. ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდის დამყარების დღეს იგი სიგრძეზე გადახტა 7,39 მეტრზე. გუტოვსკი ამავე დროს კარგი ფრენბურთელიცაა და თამაშობს თავისი კოლეჯის ნაკრებ გუნდში.

**სტოკჰოლმი.** გასულ წელს 8 შვედმა მძლეოსანმა დაძლია 2-მეტრიანი ზღვარი სიმაღლეზე ხტომაში. მძლეოსნობის ამ სახეობაში წარმატება აქვთ შვედელ ჭაბუკებსაც. ამას წინათ 16 წლის ბ. ლანდინმა დაძლია 1,90 მ და დაამყარა თავისი ასაკის ჭაბუკთა ახალი რეკორდი. ლანდინს შვეციაში მომავალ ნილსონად თვლიან.

* * *

**ნიუ-იორკი.** ამას წინათ ქალაქის გარეუბანში გაიმართა მძლეოსნური კროსი 8 კილომეტრსა და 300 მეტრზე. იგი მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა 1.500 მეტრზე რბენაში ირლანდიელმა რონალდ დელანეიმ — 25.46,0.

* * *

**ოსლო.** ნორვეგიაში სულ უფრო და უფრო იხვეჭს სახელს შუბის მტყორცნელი 18 წლის ვილი რაამუსენი. გასული წლის ბოლოს მან დაამყარა თავისი ქვეყნის ჭაბუკთა ახალი რეკორდი — 74,32 მეტრი. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ დანიელსენმა და სიდლომ 70 მეტრზე ტყორცნეს შუბი მხოლოდ 20 წლის ასაკში.

* * *

**ლონდონი.** ინგლისში ყოველწლიურად ტარდება ე. წ. „ორმაგი მარათონი“. რბენის მარშრუტი ასეთია: ლონდონი-ბრაიტონი. მისი სიგრძე 85 კილომეტრი და 495 მეტრია. გასულ წელს „ორმაგი მარათონი“ მოიგო 39 წლის გ. უოლშმა — სამხრეთ აფრიკის კავშირიდან (5:26.20,0). მეორე-მესამე ადგილებზე იყვნენ ინგლისელები რ. ჰოპკროფტი და ვ. კელი.

* * *

**რომი.** გაზეთმა „გაზეტა დელო სპორტმა“ ამას წინათ იანგარიშა, რომ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე უცხოეთის ფეხბურთელების შესყიდვაზე დაიხარჯა 20 მილიარდი ლირი. ამ ხნის მანძილზე 10.845 მატჩში თამაშობდა 450 უცხოელი, რომლებმაც საერთო ჯამში 2.854 ბურთი გაიტანეს.



საქართველოს მოცურავეთა ნაკრების შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ბათუმელ სპორტსმენებს. წლების განმავლობაში აქ აღიზარდნენ სპორტის ამ სახეობის ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც არიან ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრების წევრი პ. ბრეუსი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ა. ანტონიანი, სპორტის ოსტატი ა. ლისიკოვი, საქართველოს ჩემპიონი ე. მახარაძე და სხვები.

ბათუმში მოცურავეთა აღზრდის კარგი პირობებია, მაგრამ უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებას ხელს უშლიდა ზამთრის აუზის უქონლობა. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით აქ ორი წლის წინათ „სპარტაკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ დაიწყო აუზის მშენებლობა, მაგრამ სამუშაოთა დამთავრებას არაფერი ეშველა. აუზი მზად უნდა ყოფილიყო ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის ზეიმისათვის, მაგრამ მშენებლებმა პირობა ვერ შეასრულეს. აი როგორ გამოიყურება აუზი დღეისათვის.

ფოტო ა. ვართანოვისა.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

საქართველოს კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00627